

განმარტებითი ბარათი

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2022 წლის 16 ივნისის N 21/2622 წერილის შესაბამისად დაზუსტებული და დამატებით წარმოსადგენი ინფორმაციის ჩამონათვალი

1. დოკუმენტში წარმოდგენილი უნდა იქნეს საქმიანობის განხორციელების ადგილის GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატები (shp-ფაილთან ერთად) – shp-ფაილები დანართი N2-ის სახით დაერთო სკრინინგის განცხადებას.

2. სკრინინგის განცხადებაში მოცემული უნდა იყოს ტუმბოების განთავსების GPS კოორდინატები, წარმადობები და უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე დაშორების მანძილები -

ბალის მოსარწყავად საკმარისია 1 ერთეული ტუმბოს გამოყენება, რომელიც უშუალოდ დაიდგმება ჭაზე, რომლის განთავსების კოორდინატებია- X-743091; Y-4719738; ტუმბოს განთავსების ადგილი უახლოეს სახლიდან დაშორებულია 80მ-ით. ჭიდან წყლის ამოსაქაჩად გამოყენებული იქნება საყოფაცხოვრებო დანიშნულების ტუმბო, რომლის სიმძლავრე იქნება 10 მ³ წყალი/სთ-ში.

შენიშვნა: აღნიშნული ინფორმაცია აისახა ასევე სკრინინგის ანგარიშში.

3. დოკუმენტში მოცემულია ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია, კერძოდ, „ტექნოლოგიური პროცესის აღწერაში“ მითითებულია, რომ წყალაღების წერტილიდან წყალი მილით გადავა ხელოვნურად მოსაწყობ ბეტონის ჭაში, სადაც მოხდება წყლის აკუმულირება (შეგროვება). ამავე თავში აღნიშნულია, რომ „არ იგეგმება მდინარიდან ამოღებული წყლის რეზერვუარში დაგროვება“. დაზუსტებას საჭიროებს მდინარიდან აღებული წყლის დაგროვებისა და წყალშემკრები ნაგებობის (რეზერვუარი, ბეტონის ჭა) მოწყობის საკითხი -

წყალ-შემკრები ჭა მოეწყობა რკინა-ბეტონის ერთმანეთზე დადგმულ 3 სარტყელების(ე.წ. „რკინა-ბეტონის კალიცოებს“) მეშვეობით. ჭაში მოხდება წყლის აკუმულირება (შეგროვება), რომ შესაძლებელი იყოს წყლის ელექტრო-ტუმბოთი ამოქაჩული წყლით, სარწყავი სისტემის სტაბილური მომარაგება. ჭის მოცულობა იქნება 3-4 მ³. ჭა არ შეასრულებს რეზერვუარის ფუნქციას, (რეზერვუარის განმარტება: ნაგებობა ან სპეციალური ჭურჭელი სითხის ან სხვა რამის მოსათავსებლად, შესანახად ან გადასაზიდად.) ჭას ექნება მხოლოდ წყლის დროებით აკუმულაციის ფუნქცია.

შენიშვნა: აღნიშნული ინფორმაცია ასახულია ასევე დაგეგმილი საქმიანობის ზოგადი ტექნიკური მახასიათებლებში

3. სკრინინგის განცხადებაში მოცემული უნდა იქნეს აღწერა და სიტუაციური რუკა, სადაც დატანილი იქნება წყალაღების წერტილი და საპროექტო ხაზობრივი ნაგებობის დერეფანი -

აღნიშნული შენიშვნის შესაბამისად დაკორექტირდა სიტუაციური რუკა, რომელიც თან ახლავს დაგეგმილი საქმიანობის ზოგადი ტექნიკური მახასიათებლებს;

4. დაზუსტებას საჭიროებს წყალაღების წერტილიდან საპროექტო ტერიტორიამდე გათვალისწინებული მილსადენის სიგრძე -

მილსადენის სიგრძე მდინარიდან ფერტიგაციის რეზერვუარამდე შეადგენს 40 მ.

5. სკრინინგის განცხადების ტექსტში მოყვანილი წყალაღების წერტილის GPS კოორდინატები (X-250890; Y47193), არ ემთხვევა დანართი №2-ის სიტუაციურ რუკაზე მითითებულ კოორდინატებს (X-250805; Y4719919). დაზუსტებას საჭიროებს მდინარე დიდი ჩხოუშიდან წყლის ამოღების წერტილის GPS კოორდინატები

შენიშვნა: აღნიშნული ინფორმაცია დაზუსტდა და ასახულია ასევე დაგეგმილი საქმიანობის ზოგადი ტექნიკური მახასიათებლებში

6. დოკუმენტში მითითებულია, რომ მდ. დიდი ჩხოუშიდან ამოღებული წყლის საშუალო წლიური ხარჯი იქნება 0,83 ლ/წმ-ში, რაც შეადგენს დაახლოებით 3 მ³/სთ-ს, ამავე დროს, ტუმბოს მიერ საათში ამოქაჩული წყლის რაოდენობა იქნება 15 ტ/მ³ (სავარაუდოდ იგულისხმება ტონა ან მ³), ხოლო გამოყენებული წყლის რაოდენობა თვეში - 30000 მ³. აღნიშნული მონაცემები საჭიროებს შესაბამისობაში მოყვანასა და სათანადო განმარტებას;-

შენიშვნა: აღნიშნული ინფორმაცია დაზუსტდა და ასახულია ასევე დაგეგმილი საქმიანობის ზოგადი ტექნიკური მახასიათებლებში;

7. „დაგეგმილი საქმიანობის ზოგად ტექნიკურ მახასიათებლებში“ მითითებულია, რომ „1 ჰა პლანტაციის მოსარწყავად ერთ მორწყვაზე საჭიროა 15 00 მ³ (1,5 ათასი ლიტრი) წყალი. მთლიანი პლანტაციისათვის საჭირო იქნება 6000-7500 მ³ (6-7,5 ათასი ლიტრი) წყალი“. აღნიშნული ჩანაწერი გაურკვეველია და საჭიროებს დაზუსტებას;

შენიშვნა: აღნიშნული ინფორმაცია დაზუსტდა და ასახულია ასევე დაგეგმილი საქმიანობის ზოგადი ტექნიკური მახასიათებლებში;

8. დოკუმენტში წარმოდგენილი უნდა იქნეს ინფორმაცია, მდ. დიდ ჩხოუშზე არსებული წყალმოსარგებლ(ებ)ის თაობაზე.

მდ. ჩხოუშიდან, დაგეგმილი საქმიანობის ტერიტორიიდან 14,458კმ-ში (X-741354.00; Y4718085.00) სარწყავი სისტემისთვის წყალაღებას ახდენს შპს „ქისტოუნ აგრო“. კომპანიის მიერ მდინარიდან წამში შეადგენს 0.027 მ³-ს. რაც მდინარის წლიური ხარჯის 0,036%-ია.

ორივე საწარმოს მიერ მდინარიდან ერთობლივად წყლის ამოღების შემთხვევაში მდინარიდან ამოღებული იქნება 0,036+0,004=0,04%.

ამ რაოდენობის წლის ამოღება მდინარეზე რაიმე ზეგავლენას არ მოახდენს.

მდ. დიდ ჩხოუშზე არსებული სხვა წყალმოსარგებლეების შესახებ ინფორმაცია არ არსებობს.

შენიშვნა: აღნიშნული ინფორმაცია დაზუსტდა და ასახულია ასევე დაგეგმილი საქმიანობის ზოგადი ტექნიკური მახასიათებლებში;

9. მე-9 თავში აღნიშნულია, რომ „სარწყავი სისტემის მოწყობა არ იქნება დაკავშირებული მიწის სამუშაოებთან, რის გამოც ზემოქმედება მიწის რესურსებზე (მიწის ნაყოფიერი ფენის გაუვარგისება-დეგრადირება) არ არის მოსალოდნელი“. ამასთან, მე-7 თავში მითითებულია რომ „მიწის განთავსება მოხდება მიწის ზედაპირთან ახლოს, 5-10 სმ სიღრმეში“. დაზუსტებას საჭიროებს სამელიორაციო სისტემისა და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის მოწყობის პროცესში გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების შესახებ ინფორმაცია, ასევე, სამშენებლო სამუშაოების შედეგად წარმოქმნილი ნიადაგის/გრუნტის შემდგომი მართვის საკითხი; ნიადაგის დაცვის კუთხით, წარმოქმნილი საქმიანობის შედეგად არ არსებობს რისკფაქტორები, ვინაიდან სარწყავი სისტემის მოწყობა არ იქნება დაკავშირებული მიწის სამუშაოებთან, რომელიც დაკავშირებულია მიწის ნაყოფიერი ფენის მოხსნასთან, გადატანასთან, ტრანსპორტირებასთან, დასაწყობებასთან და ა.შ. მიწის ჩალაგებისას მოხდება 10 სმ სიღრმის თხრილის გაკეთება (დაახლოებით ისეთი როგორც კეთდება თესვის სამუშაოებისას) ჩალაგდება მიწები და ზემოდან ისევ გადაეყრება მიწა. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, სამშენებლო სამუშაოებისას ასევე სამუშაოების დასრულების შემდგომ ნიადაგის/გრუნტის წარმოქმნა არ არის მოსალოდნელი შესაბამისად არ განიხილება მისი შემდგომი მართვის საკითხი.

10. დოკუმენტში განხილული არ არის ფლორისა და ფაუნის კომპონენტებზე სამელიორაციო სისტემის მოწყობის ეტაპზე მოსალოდნელი ზემოქმედების საკითხი;

შენიშვნა: აღნიშნული ინფორმაცია დაემატა დაგეგმილი საქმიანობის ზოგადი ტექნიკური მახასიათებლებში;

11. სკრინინგის განცხადებაში აღნიშნულია, რომ „საქმიანობის პროცესში გამოყენებული წყლების ჩაშვება წყალსატევებში არ იგეგმება“. აღნიშნული ჩანაწერი ბუნდოვანია და საჭიროებს განმარტებას;

შენიშვნა: აღნიშნული ინფორმაცია დაზუსტდა დაგეგმილი საქმიანობის ზოგადი ტექნიკური მახასიათებლებში;

12. დოკუმენტში მითითებულია, რომ „რეგიონი მდიდარია კულტურული, ისტორიული ღირსშესანიშნაობებით. რეგიონში მრავლადაა ეკლესია-მონასტრები, არამატერიალური კულტურული ძეგლები“. აღნიშნული ჩანაწერი მოკლებულია კონკრეტიკას. დაზუსტებას საჭიროებს საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლ(ებ)ის არსებობის შესახებ ინფორმაცია, დაშორების მანძილის მითითებით.

შენიშვნა: აღნიშნული ინფორმაცია დაემატა დაგეგმილი საქმიანობის ზოგადი ტექნიკური მახასიათებლებში;